ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7007603

ნომერი: AR11031480

თარიღი : 23.04.2024

გაცემის თარიღი : 30.04.2024

გაცნობის თარიღი : 01.07.2024

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ნუცუბიძის ფერდობების II,III,IV მ/რ-ს მიმდებარედ ნაკვეთი N7; ქალაქი თბილისი , ნუცუბიძის პლატო , II, III და IV მ/რ-ების მიმდებარე ტერიტორია, (ნაკვეთი N15/121) ; ქალაქი თბილისი , ნუცუბიძის ფერდობის II, III, IV მ/რ-ის მიმდებარედ (ნაკვეთი N50); ქალაქი თბილისი , ფერდობი ნუცუბიძე , მე-2, მე-3 და მე-4 მ/რ-ების მიმდებარე ტერიტორია, (ნაკვეთი N44);

დამკვეთი-განმცხადებელი

- თენგიზ იმნაიშვილი პ/ნ 61001021318
- საქართველო, თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, III მასივი VIII კვ. კორ. 8 ბ. 20

ორგანიზაცია:

- შპს "პილარ-დიღომი" კოდი: 404672270

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 4 აპრილის №6967852 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2024 წლის 23 აპრილს №AR11031480 განცხადებით მომართა თენგიზ იმნაიშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2024 წლის 4 აპრილის №6967852 ტექნიკური შეცდომის გასწორება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2024 წლის 4 აპრილის №6967852 ბრძანებით, №01.14.16.015.479 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი.

წარმოდგენილი განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2024 წლის 4 აპრილის №6967852 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას, კერძოდ სურს შეთანხმებულ ბრძანებაში - გეგმების „პდფ“ ფაილში გამორჩენილი +8.58 ნიშნულის გეგმის დამატება.

სამსახურმა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი +8.58 ნიშნულის არქიტექტურული გეგმა შეადარა შეთანხმებულ დოკუმენტაციას, მათ შორის ვექტორულ ფაილს, ჭრილებსა და ფასადებს, რომლებითაც დგინდება, რომ საპროექტო შენობის +5.28 ნიშნულის შემდგომ ფიქსირდება +8.58 ნიშნული, რომლის გეგმაც შეთანხმებული არქიტექტურული გეგმების „პდფ“ ფაილში, ტექნიკური შეცდომის შედეგად, გამორჩენილ იქნა. აქედან გამომდინარე, სამსახური მიზანშეწონილად მიიჩნევს შეთანხმებულ ბრძანებაში, არქიტექტურულ გეგმებს დაემატოს გამორჩენილი +8.58 ნიშნულის არქიტექტურული გეგმაც.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 4 აპრილის №6967852 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 4 აპრილის №6967852 ბრძანებაში და შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმებს დაემატოს, ტექნიკური შეცდომის შედეგად, გამორჩენილი +8.58 ნიშნულის არქიტექტურული გეგმა.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 4 აპრილის №6967852 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 4 აპრილის №6967852 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.